

განხილულია პედაგოგიური
საბჭოს სხდომაზე
ოქმი N 7 28.06.24



„ვამტკიცებ“

სკოლის დირექტორი

ალ. ჯავახიშვილი

03.07. 2024

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“

2024 წელი

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“

დოკუმენტი „სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

მუხლი 1. შესავალი

1. დოკუმენტში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1.1. სასკოლო კურიკულუმის განმარტება. რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი;

1.2. სისტემური დონის რეგულაციები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი;

1.3. პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები;

1.4. ძირითადი პროცესები სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ძირითადი საფეხურები(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებიდან):

- კურიკულუმის შემუშავება
- კურიკულუმის განხორციელება
- კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
- კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

1.5. პროცესში ჩართული მხარეები;

1.6. კავშირი სხვა პროცესებთან.

მუხლი 2. რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი

2.1. სასკოლო კურიკულუმის განმარტება

ერთი მხრივ ტერმინი „კურიკულუმი“ აღნიშნავს:

- საგნების/საგანმანათლებლო სერვისების ჩამონათვალს, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს მოსწავლეს და რომელსაც მოსწავლე საფეხურის ფარგლებში შეისწავლის.
- განსაზღვრავს სკოლის მიერ შემუშავებული მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებს.
- მეორე მხრივ კი ეს არის გზა, რომელსაც მოსწავლე ამა თუ იმ საგნის ფარგლებში გაივლის და

- არის საშუალება სკოლის ტრადიციების დამკვიდრებისათვის და პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.

სასკოლო კურიკულუმი ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის კურიკულუმები ვითარდება დამოუკიდებლად. მათი ერთობლიობა ქმნის სასკოლო სასწავლო გეგმას.

სასკოლო კურიკულუმს სკოლა შეიმუშავებს ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის, იგი ეფუძნება გასული სასწავლო წლის კურიკულუმის მონიტორინგის შედეგებს, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებას სკოლა იწყებს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები, რომელშიც მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება.

კურიკულუმის ფუნქციაა ერთი მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას. კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები.


და ბოლოს, ეს არის ანგარიშვალდებულება, რომელიც სკოლას გააჩნია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხოლო სასკოლო საზოგადოების წევრებს საზოგადოების წინაშე. სკოლების ანგარიშვალდებულება სამინისტროს წინაშე აღიწერება ეროვნული სასწავლო გეგმისა და ავტორიზაციის მეორე სტანდარტის საშუალებით. სასკოლო სასწავლო გეგმა ამ ორ დოკუმენტთან სკოლაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას წარმოაჩენს.

2.2. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები:

- ✓ სასკოლო საათობრივი ბადე (რა საგნებს და საგანმანათლებლო სერვისებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეს, როგორია საათობრივი ბადე და მოსწავლის დატვირთვა სკოლაში);
- ✓ მოსწავლის შედეგების შეფასება (როგორ ხდება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და შეფასება);
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები
- ✓ მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსი, რა სასწავლო რესურსებზე დაფუძნებით ხდება გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა (სახელმძღვანელოები; ლიტერატურა, ელექტრონული და მატერიალური რესურსი)

- ✓ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
- ✓ ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;
- ✓ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;
- ✓ არაფორმალური განათლება
- ✓ სკოლის ბიუჯეტი

შედეგად კურიკულუმი უნდა პასუხობდეს კითხვებს, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება ცოდნის კონსტრუირებაში:



3.3. ეფუძნება რა პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას, დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა საგანმანათლებლო პრინციპებს ეფუძნება და რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება სასწავლო პროცესი სკოლაში:

<p>სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.</p>	<p>მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაიქმნება მოსწავლის მიერ მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე. პროცესი</p>
---	--

	ორიენტირებულია მოსწავლის შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე.
სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.	ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი
სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.	მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს
სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).	სწავლის პროცესში მართებული ხერხებისა და მიდგომების გამოყენება წარმატებული სწავლის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. კონკრეტული მიზნის მისაღწევად განსახორციელებელ ქმედებათა გააზრებულად, გაცნობიერებულად დაგეგმვა და კოორდინირება ზრდის მოსწავლის ქმედობაუნარიანობას, ეხმარება მას მიზნის ეფექტიანად მიღწევასა და სიძნელეთა გადალახვაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია დააფიქროს მოსწავლე იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმაროს მათ შორის, საუკეთესოს აღმოჩენაში.
სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.	ა) დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი? ბ) პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო? გ) პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშანთვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?

მუხლი 3. სისტემური დონის რეგულაციები რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი:

3.1. სასკოლო კურიკულუმს საკვანძო მნიშვნელობა აქვს ზოგადი განათლების რეფორმისთვის. მისი საშუალებით სკოლის დონეზე რეალიზდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები.

მთავარი დოკუმენტი, რომელსაც სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა არის ეროვნული სასწავლო გეგმა. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოაჩენს მიმართებებს ამ ორი დოკუმენტს შორის

ეროვნული სასწავლო გეგმა	სასკოლო კურიკულუმი
სწავლა-სწავლების პრინციპები	სკოლისთვის სავალდებულოა მოთხოვნა - დააფუძნოს სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს
კურიკულუმის მიზნები - ფუნქციურ კომპონენტური უნარები - აღმზრდელობით ღირებულებებით ასპექტები - პრიორიტეტული თემები	სკოლა ორიენტირდება ეროვნული კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებზე, აქ მოცემულ კომპონენტებზე დაფუძნებით სკოლა ფოკუსირებულია საკუთარი მისიის გამოკვეთაზე.
საგნობრივი ჯგუფის მიზნები სავალდებულო საგნები	სკოლა ვალდებულია ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნები, თუმცა, საშუალო საფეხურზე მას შესაძლებლობა აქვს საგანთა განსხვავებული განაწილება შესთავაზოს მოსწავლეებს, რომლებიც მოემსახურება საგნობრივი ჯგუფის მიზნების რეალიზებას; გარდა ამისა, კერძო სკოლა უფლებამოსილია სწავლების ყველა საფეხურზე შესთავაზოს მოსწავლეს დამატებით სააღმზრდელო-სასწავლო მომსახურება.
სავალდებულო საგნების სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნები: - საფეხურის შედეგები: - სამიზნე ცნებები სასწავლო თემები და საგნობრივი საკითხები	ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულოდ განსაზღვრავს სავალდებულო საგნების სწავლა-სწავლების მიზნებს (ზოგიერთ საგანში სასწავლო თემებსაც), თუმცა, სკოლამ თავად უნდა შეარჩიოს რა საგნობრივ საკითხებს შესთავაზებს მოსწავლეებს ამ მიზნების მისაღწევად.
სასწავლო რესურსები	სამინისტრო სკოლას ყველა სავალდებულო საგნისთვის სთავაზობს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, თუმცა, საგანმანათლებლო დაწესებულებს შეუძლია გრიფირებული სახელმძღვანელო ჩაანაცვლოს სხვა

	სახელმძღვანელოთი; საკუთარი შეხედულებისამებრ სასწავლო პროცესი გაამდიდროს დამატებითი სასწავლო რესურსებით
სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები	ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღწერილია სწავლა სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები. ამასთან სკოლა უფლებამოსილია სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები
შეფასება	ამ საფუძვლების გათვალისწინებით სკოლა თავად ქმნის სწავლებისა და შეფასების ხერხებს, წესებსა და ინსტრუმენტებს.

შენიშვნა: 1. ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა ნიშნავს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისობას ისეთ დოკუმენტებთან, როგორებიცაა: ა) **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;** ბ) **ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი** (საქართველოს პარლამენტის N1330 კანონი, 8 აპრილი, 2005); გ) **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ ბრძანება (N69/ნ, 10 აპრილი, 2019).**

2. გარდა ამისა მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისობა სკოლის ფილოსოფიასთან (ხედვა, მისია, ღირებულებები, მიზნები და პრიორიტეტები...).

კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა

- შესავალი
- ბრძანება სასკოლო კურიკულუმის დამტკიცების შესახებ
- სკოლის სტრუქტურა (სასკოლო საზოგადოების წევრების კონკრეტული მოვალეობები სასკოლო კურიკულუმის განხორციელების პროცესში);
- კურიკულუმის შემუშავების პროცესის აღწერა (ჩართული მხარეები, პროცედურების დახასიათება; კურიკულუმის რევიზიის პროცესში გამოყენებული წყაროები, მათი მოპოვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია).

1. ზოგადი ნაწილი:

სასკოლო კურიკულუმის კავშირი სკოლის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან;

სასკოლო კურიკულუმის მიმართება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (შესაბამისობა მიზნებთან, მეთოდოლოგიურ პრინციპებთან, სავალდებულო საგნების ჩამონათვალი);

სასკოლო სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნების რეალიზების მექანიზმები (სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება);

ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში სასწავლო პროცესების დაგეგმვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.

ნაწილი 2. საგნობრივი კურიკულუმები (საფეხურების მიხედვით)

თითოეული საგნისთვის:

- მოსწავლეების დატვირთვა - საათობრივი ზადე, დამატებითი სამუშაო;
- შინაარსი (თემის გეგმები და დავალებები თითოეული წლისთვის); სასწავლო რესურსები - გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი სასწავლო რესურსები;
- სწავლების მეთოდები და სტრატეგიები - საგანთა შორის ინტეგრაცია, დისტანციური სწავლება, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება;
- შეფასება - შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სკოლა როგორ ახდენს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკას;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის;

მუხლი 4. პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პირები (პოზიციები)

4. 1. სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია. მასში უამრავი ადამიანი იღებს მონაწილეობას, თუმცა, პასუხისმგებლობის ცენტრი გადადის კათედრის თავმჯდომარეებზე და დირექტორის მოადგილეებზე

4.2. გარდა ამისა სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზნებია:

- ა) სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;
- ბ) მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა;
- გ) სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება.
- დ) სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება;

4.3. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მოიცავს 4 ძირითად მიმართულებას:

- **კურიკულუმის შემუშავება**
კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება;
კურიკულუმი ეფუძნება ესგ საგნობრივ სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს;

- **კურიკულუმის განხორციელება (დანერგვა)**
სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს;
სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს;
სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას;
- **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**
მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს;
სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს;
- **კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

ბოლო სამი პროცედურის განხორციელებისას გამოტანილი დასკვნების საფუძველზე ხდება არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. ამ პროცედურების მიმდინარეობაზე და შედეგებზე დაკვირვებისა და მონიტორინგის განხორციელების ტვირთი ეკისრება კათედრებს და სკოლის ადმინისტრაციას.

საჭიროებისა და შესაძლებლობების ფარგლებში სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გარე შეფასების განხორციელება.

მუხლი 5. პროცესში ჩართული მხარეები

5.1. სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

5.2. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა და შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. ამ პროცესში ჩართულ პირთა უფლება-მოვალეობები გასაზღვრულია მომდევნო მუხლებში (მუხლი 6; 7; 8;)

5.3. სკოლისათვის მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში. კურიკულუმის განვითარების პროცესში მშობელთა ინფორმირების მიზნით უპირატესობას ვანიჭებთ შემდეგ ფორმებს:

- კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა

- ელექტრონული ჟურნალით ინფორმაციის გაზიარება
- კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნა
- ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება (საჭიროებისამებრ).

5.3. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებისა და დირექციის უმთავრესი ვალდებულებები უკავშირდება უშუალოდ სასწავლო პროცესს. ეს ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ და კონკრეტულადაა გაწერილი მომდევნო მუხლებში და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებში.

შენიშვნა: სკოლა ღიაა სასკოლო კურიკულუმის განვითარების საკითხებზე ითანამშრომლოს რესურსცენტრებთან, თუ ძალაში შევა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული კონცეფცია „ხარისხის მართვის სამსახურის ფუნქცია შეასრულონ საგანმანათლებლო რესურსცენტრებმა“.

მუხლი 6. მასწავლებელი

სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული პედაგოგი გაკვეთილის ჩატარებასთან ერთად ვალდებულია:

6.1. აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას, რაც კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა;

6.2. მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და მუშაობის პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს.

6.3. წარადგინოს საგნის კურიკულუმი

6.4. კომპლექსური დავალებისა თუ სხვა ტიპის დავალებების ანალიზი

6.5. დიფერენცირებული სწავლების ანალიზი

6.6. შეაფასოს სწავლების მეთოდოლოგია და წარადგინოს რეფლექსია, გამოკვეთოს პრობლემები.

6.7. მონაწილეობა მიიღოს არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში

6.8. ჰქონდეს სასკოლო კულტურის განვითარების მისეული ხედვა და ინიციატივები

6.9. განახორციელოს მოსწავლეთა შეფასება და დასწრება.

6.10. შეასრულოს კანონით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

შენიშვნა: კურიკულუმის განვითარების პროცესში ფუნქციური როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილებისას არ აქვს მნიშვნელობა მასწავლებლის სტატუსს (მენტორი, წამყვანი, უფროსი).

მუხლი 7. კათედრა/კათედრის თავმჯდომარე

კათედრის თავმჯდომარე ვალდებულია:

7.1. უზრუნველყოს კათედრის წევრების ინფორმირებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებითა და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების; სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

7.2. შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს (შექმნას დღის წესრიგი, გამოკვეთოს პრობლემური საკითხები);

7.3. უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად;

7.4. დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას მიაწოდოს შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებული მასალები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას:

- სასწავლო პროცესის შესახებ
- მოსწავლეების მიღწევები
- მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები

7.5. მონაწილეობა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში; იყოს შუამავალი რგოლი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.

7.6. საგნობრივი კათედრა ვალდებული განახორციელოს:

ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;

ბ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

გ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;

დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);

ე) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;

ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;

ზ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

7.7. სკოლის საჭიროებებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სხვა აქტივობები.

მუხლი 8. დირექტორის მოადგილეები.

კურიკულუმის დანერგვის პროცესში დირექტორის ორი მოადგილეა ჩართული. პირველი მათგანის ფუნქციაა სასწავლო პროცესის ადმინისტრირება. იგი ფასილიტაციას უწევს სასწავლო პროცესს, მეორე კი ორიენტირდება ხარისხის მართვაზე და ეხმარება სასკოლო საზოგადოების წევრებს თვითშეფასების განხორციელებაში.

დირექტორის მოადგილეების უფლება-მოვალეობები და ფუნქციები განისაზღვრება სკოლის დირექტორის ბრძანებით და სამუშაო აღწერილობებით.

ამ მიმართულებით დირექტორის მოადგილეების მოვალეობებში შედის შემდეგი აქტივობები:

8.1. ფასილიტაცია გაუწიონ დანერგვისა და კვლევის ინსტრუმენტებისა და მათი გამოყენების რეჟიმის შეთანხმებას;

8.2. გაამთლიანონ კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

8.3. უზრუნველყონ სამუშაო შეხვედრების გამართვა კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით (შესაძლოა სხვა მასწავლებლების ჩართულობითაც), სადაც განიხილება:

- სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები;
- შემუშავდება რეკომენდაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად;
- გატარდება ღონისძიებები ინოვაციების დასანერგად;

8.4. მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში (მაგალითად, Japanese Lesson Study- ის რეჟიმში);


- 8.5. უზრუნველყონ მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია;
- 8.6. ხელი შეუწყონ სკოლის ბაზაზე მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას;
- 8.7. კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყონ სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება;
- 8.9. უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირება;
- 8.10. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებთან/სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით (წინასწარ შეთანხმებული თვითშეფასების ფორმით).

სკოლის დირექტორი ერთობლივად იღებს პასუხისმგებლობას სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესზე.

მუხლი 10. ძირითადი პროცესები:

I. კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია. სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

საკუთრივ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების საფეხურები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ სქემაზე.



10.1. პროცესის დაწყება:

- ❖ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.
- ❖ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.
- ❖ განისაზღვრება პროცესის ეტაპები:

(ა) კურიკულუმის შემუშავება,

(ბ) დანერგვა,

(გ) მონიტორინგი და შეფასება,

(დ) გადასინჯვა და რევიზია.

ა) კურიკულუმის შემუშავება (სტრუქტურა):

სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ეფუძნება პროცესების მონიტორინგისა და კვლევის შედეგებს, რომელიც ჩატარდება სასწავლო წლის ბოლოს: ეს შეიძლება იყოს:

სასწავლო პროცესის შედეგების კვლევა

მასწავლებლების პროფესიული განვითარების კვლევა

კათედრების მუშაობის კვლევა

სააღმზრდელო საქმიანობის ანალიზი

მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის კვლევა

მოსწავლეების საჭიროებების კვლევა

დირექციის საქმიანობის კვლევა

კურიკულუმის შემუშავებისას

ა)-1. შესავალი: როდის და რომელი ბრძანებით დამტკიცდა კურიკულუმი;

ა)-2. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. **პედაგოგები უნდა შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:**

- რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);
- რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;
- მასწავლებლებს აქვთ არჩევანის თავისუფლება სარეკომენდაციო მასალიდან თემასთან დაკავშირებული სასწავლო თემატიკის, კომპლექსურ შემაჯამებელი სამუშაოს დაგეგმვისა და საბოლოო სასწავლო პროდუქტის შერჩევისა და შეფასების საქმეში.

- როგორ ითვალისწინებენ ძირითად მოთხოვნას, რომ მოხდეს წინარე ცოდნის წამოწევა და ახალი ცოდნის კონსტრუირება, რაც უნდა ემსახურობდეს მოსწავლის განვითარებას და პიროვნული ზრდის ხელშეწყობას, რაც პირდაპირ პასუხობს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებსა და ინტერესებს.
- შესაბამისი საგნის კურიკულუმში რამდენადაა ასახულია ის ორიენტირები, რომლისკენაც მიემართება ცოდნისა და უნარების განხორციელების საშუალებები. აქ, სტანდარტის განსაზღვრული ცოდნის გარდა მოიაზრება ის უნარებიც, რომელსაც დღეს გლობალურ, ან 21-ე საუკუნის უნარებს ვუწოდებთ. ასეთებია: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა .
- რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;
- რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;
- რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის;
- რა მექანიზმებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.

ა)-3. კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი (მაგალითად, თუკი კათედრაზე 5 ისტორიის მასწავლებელია ყველა მათგანი ერთსა და იმავე კურიკულუმზე თანხმდება).

- საგნობრივი კურიკულუმების დოკუმენტში ხაზგასმული სიტყვები „მონაწილეობით შეიმუშავებს“ და „შეთანხმებით“ კათედრის ხელმძღვანელს ავალდებულებს სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები, დროულად გაუზავნოს დირექტორს, მის მოადგილეებს.
- მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა.

ბ) დანერგვა:

I ნაწილი. კურიკულუმის დანერგვა გულისხმობს დაგეგმვის ფაზაში შეთანხმებული გეგმების განხორციელებას და იმ ეფექტების აღწერას, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა.

II ნაწილი. კურიკულუმის დანერგვის პროცესი სამ დონეზე აღიწერება:

- **მოსწავლის (ნაწი) დონე,**
მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში.

მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა სწავლების პროცესშიც.

- **მასწავლებლის (მიკრო დონეზე)**

მასწავლებელთა თანამშრომლობა სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განხორციელების პროცესში;

პროცესების აღწერისათვის საჭირო ინსტრუმენტების შექმნა;

კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება.

- **სკოლის (მეზო) დონეზე.**

პროცესების განხორციელების ხელშეწყობა და მუდმივი მხარდაჭერა;

შედეგების მონიტორინგი და ანალიზი.

თითოეულ დონეზე პასუხი გაეცემა კითხვებს:

(I ნაწილი)

- სასკოლო კურიკულუმის მიმართება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან;
- კურიკულუმის შემუშავების პროცესის აღწერა:
 - ✓ ჩართული მხარეები
 - ✓ პროცედურების დახასიათება
 - ✓ წყაროები, მათი მოპოვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია);
- სკოლის სტრუქტურა (მხარეების კონკრეტული მოვალეობები სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში).

(II ნაწილი). შესამუშავებელია:

- დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებით გროვდება მონაცემები (როგორ შევაგროვოთ მონაცემები კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესასწავლად?)
- მონაცემების ჩამონათვალი, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება (როგორ წარვმართოთ კურიკულუმის განვითარების პროცესი?)
- სასწავლო პროცესის დაგეგმვის სარეკომენდაციო ინსტრუმენტები
- ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და ზრუნვის მექანიზმები

სკოლა მოწოდებულია ჩამოყალიბდეს სასკოლო კურიკულუმის განვითარების ორიგინალური მოდელი. პასუხი შეკითხვებზე: ამისათვის სკოლა გეგმავს მხარდაჭერი მექანიზმების შემუშავებას. უპირველესად 2024-2025 სასწავლო წლიდან პრიორიტეტი მიენიჭება **საკუთარი სასკოლო კურიკულუმის**

კონცეფციის ჩამოყალიბების პროცესს. კერძოდ: - აქტიური სწავლის იდეა აღიწერება ე.წ. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების სახით; - ყველა შედეგი მუშავდება ყველა თემაში. ანუ თემა უნდა იყოს სანიმუშო ერთეული, რომლის ფარგლებშიც ურთიერთდაკავშირებულად დამუშავდება ყველა შედეგი; - შეფასების ინსტრუმენტებზე მუშაობისას ათვლის წერტილად აღებულ უნდა იქნას სამიზნე ცოდნა.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და ზრუნვის მექანიზმებში გამოყოფთ: საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობებში:

1. მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობის უზრუნველყოფას;
2. ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.
3. სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;
4. მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას;
5. დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასებას.

მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად?

შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.

მაგალითად! პროცედურა: მასწავლებლები წინასწარ შეთანხმებულ რეჟიმში დანერგვის პროცესის ამსახველ მასალებს აგროვებენ და უგზავნიან კათედრის ხელმძღვანელს. კათედრის ხელმძღვანელის მოვალეობაა ამ მასალების დახარისხება და მის საფუძველზე კათედრის მუშაობის დღის წესრიგის შექმნა.

სასკოლო საზოგადოების წევრებს ერთმანეთთან შეთანხმებული უნდა ჰქონდეთ დიზაინი, რომელის ფარგლებშიც ამ საკითხების შესწავლა იქნება შესაძლებელი.

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის სკოლის დირექციამ უნდა უზრუნველყოს მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება.

დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რამდენად ხორციელდება საკლასო ოთახში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და რამდენად ხდება მოსწავლეების შეფასება/მხარდაჭერა ამ დავალებებზე მუშაობის პროცესში. რაც შეეხება კვლევასა და შეფასებას.

ამ მხრივ ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ ასპექტზე:

ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;

ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;

გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

დ) გადასინჯვა და რევიზია

ე) სარემედიაციო პროგრამის შემუშავება

2. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, თუმცა, მათი გათვალისწინებით ასევე შეიძლება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. ამ ტიპის აქტივობებზე შეგვიძლია მოვიხილოთ გეგმებში განხორციელებული ცვლილებებიც.

სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული პედაგოგი გაკვეთილის ჩატარებასთან ერთად ვალდებულია:

1.1. აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა;

1.2. მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და მუშაობის პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს.

წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

<https://mastsavlebeli.ge/?p=36123>